პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 277 (11281) | კვირა, 30 ნოემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სთვლის, რომ ბუნების დაცვა წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ერთ-ერთ ამოცანას, სახელმწიფოსა და მთელი ხალხის საგანგებო ზრუნვას, ბუნების ბრძოლას, ბუნების ბრძოლას, ბუნების ბრძოლ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარების, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

საწარმოების მუშაობისადმი, რომლებზეც მიმაგრებულია გზები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კადრების სწორად შერჩევას და განაწილებას. პერიოდულად მოისმინონ გზების შეკეთების მიმდინარეობის საკითხები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს:

ა) უზრუნველყოს ყველა რაიონული ცენტრის დაკავშირება რესპუბლიკის მაგისტრალურ გზებთან მაგარსაბურიანი და უმიტესად შაგსაბურიანი გზების საშუალებით;

ბ) აამაღლოს საგზაო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, გააუმჯობესოს ავტოსაგზაო მექანიზმების გამოყენება, აამაღლოს ინდუსტრიალიზაციის დონე საგზაო მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის და მოწინავე მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენების გზით;

გ) საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე, როგორც წესი, განახორციელოს კაპიტალური ხიდების მშენებლობა;

დ) ჭმედითი დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთებისა და შენახვის საქმეში;

ე) განახორციელოს სისტემატური კონტროლი და სახელმწიფო ზედამხედველობა იმ საგზაო სამუშაოებისადმი, რომლებსაც საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე ასრულებენ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები, სოფლის მშრომელები და გზატკეცილების მუშაკები მიიღებენ ყველა ღონისძიებას სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმით გათვალისწინებული გზების მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის ყველა ამოცანის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

თბილისი, 1958 წლის 28 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ბ. გელდიაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამავალა მოგახსენოთ იმ ბრძანებულებათა შესახებ, რომლებიც გამოსცა პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შემდეგ და რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად უნდა განიხილოს და დაამტკიცოს უმაღლესმა საბჭომ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 31 მაისის ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს სსრ ჭიათურის რაიონი და მასში შემავალი სოფლები და სასოფლო საბჭოები ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს. 1958 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით კი გაერთიანდა საქართველოს სსრ გარდაბნისა და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონები და შეიქმნა ქ. თბილისის სამგორის რაიონი. ამ ბრძანებულებების მიღება მოითხოვს შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19 მუხლში, საიდანაც ამოღებულ უნდა იქნას გარდაბნის და ჭიათურის რაიონები.

ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უფლებათა გაფართოებისა და საკითხების უფრო ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 8 აგვისტოს მიიღო ბრძანებულება, რომლითაც გადაეცა საბოლოო გადასაწყვეტად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს - ტერიტორიული დაყოფის ზოგიერთი საკითხი. სახელდობრ: დასახელებული პუნქტების ერთი სასოფლო, სადაბო საბჭოს შემადგენლობიდან მეორეში გადაცემა და ამასთან დაკავშირებით რაიონების ადმინისტრაციულ - ტერიტორიული საზღვრების შეცვლა, სასოფლო, სადაბო საბჭოების შექმნა, გაერთიანება, გაუქმება, გადარქმევა, რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და დაბების საზღვრების დადგენა და გაფართოება დადგენილი წესის დაცვით. აღნიშნული ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „ე“ პუნქტში შეტანილ უნდა იქნას ცვლილება, რომლის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დაამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების მხოლოდ იმ დადგენილებებს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეიქმნება ახალი საქალაქო საბჭოები, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში რაიონული საბჭოები და შეიცვლება ამ ქალაქების საზღვრები.

1958 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულებით პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შექმნა მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. ამ ბრძანებულების მიღება მოითხოვს შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემადგენლობით იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

იმის გამო, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობას ავტომანქანების მართვის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის, 1958 წლის 18 მარტს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“. აღნიშნული ბრძანებულება ითვალისწინებს მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობას ტექნიკურად არაწესიერ მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანების ექსპლოატაციისათვის, არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომანქანების მართვისათვის და ავტომანქანის ისეთ პირზე გადაცემისათვის, რომელსაც მართვის უფლება არა აქვს. პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია აგრეთვე მსუბუქი ავტომანქანების იმ მფლობელთა და მძღოლთა მიმართ, რომლებიც ავტომანქანებს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ. ბრძანებულება ითვალისწინებს სასჯელის სხვადასხვა ზომებს: პატიმრობას, ჯარიმას, ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას, იძულებით მუშაობას და ავტომანქანის კონფისკაციას.

იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ ქალაქებში და საგარაკო ადგილებში გახშირდა თვითნებური და უპროექტო შენებლობა, ხოლო ასეთი დარღვევებისათვის გათვალისწინებული იყო ნაკლები პასუხისმგებლობა, 1958 წლის 21 აპრილს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147[1] მუხლის შეტანის შესახებ“. აღნიშნულმა ბრძანებულებამ შესცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის რედაქცია, რითაც გაძლიერა პასუხისმგებლობა მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დამრღვევთა მიმართ. გარდა ამისა, ამ ბრძანებულებით სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა 147[1] მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუ ინდივიდუალური საბინაო და საგარაჯო მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე სახლის აშენებისას დარღვეულია სართულიანობის, ოთახების რაოდენობისა და ფართობის კანონით დაწესებული ნორმები, ნორმის ზევით აშენებული ოთახები და საცხოვრებელი ფართობი ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალურ ფონდში, ჩამორთმეული ფართობზე მცხოვრებ პირთა გამოსახლებით.

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მომეცით აგრეთვე მოგახსენოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულებანი, საქართველოს სსრ მთავრობის წევრთა თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ.

1958 წლის 14 მაისის ბრძანებულებით პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ოთარ დავითის-ძე გოცირიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

ამავე თარიღის ბრძანებულებით პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონდრატ სოკრატის-ძე ციმაკურიძე გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან და დანიშნა ამ თანამდებობაზე ამხ. ოთარ დავითის-ძე გოცირიძე.

1958 წლის 14 მაისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გიორგი ირაკლის-ძე ჩოგოვაძე განთავისუფლდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრად.

1958 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულებით ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე განთავისუფლდა საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან.

1958 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებით ამხ. მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძე განთავისუფლდა საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან.

1958 წლის 18 ნოემბრის ბრძანებულებით პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ივანე იოსების-ძე ღარიბაშვილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად, გაათავისუფლა რა ამ თანამდებობიდან ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავა.

1958 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულებით ამხ. ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

გარდა აღნიშნული ბრძანებულებებისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 28 იანვარს მიიღო დადგენილება ამხ. თემურ მახმედის-ძე ქეცბას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო და 1958 წლის 11 ივნისის დადგენილებით ამხ. ფირატ ასლანის-ძე აბუხბა დაუშვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

აი, ამხანაგო დეპუტატებო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყველა ის ბრძანებულება და დადგენილება, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად უნდა განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ დაამტკიცოთ დასახელებული ბრძანებულებანი, აგრეთვე გაათავისუფლოთ ამხ. ქეცბა უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან და აირჩიოთ ამხ. აბუხბა უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ კანონებისა და დადგენილებების პროექტები დეპუტატებს დარიგებული აქვთ.

საქართველოს გუნებების დაცვიდან ერთიანულ ...

კამათი დეპუტატ გ. ღ. ჯავახიშვილის მოხსენების გამო

დეპუტატ ა. ე. გასიაშვილის სიტყვა

ქასპის რაიონის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი კმაყოფილებით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებს.

რაიონის მშრომელები ისწრაფვიან პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანა. წარმატებით მიმდინარეობს ახალი ნარგავების გაშენება. წელს რაიონში დარგულია თუთის, ალვისხისა და ხეხილის 60 ათასი ნერგი. მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მომავალი წლის გაზაფხულზე დარგონ ათეულ ათასობით ფოთლოვანი ხე და ხეხილი გზების გაყოლებით. სანერგე მასალებით ახალი ნარგავების უზრუნველყოფისათვის რაიონში ეწყობა დიდი სანერგე მეურნეობა.

დეპუტატს მიაჩნია, რომ ტყეების მოვლა და მათი დაცვა ყოველმხრივ უნდა გაძლიერდეს. თითქმის ყოველ წელს სოფლის მეურნეობის მავნებლები სპობენ ნარგავებს დიდ მასივებზე. საჭიროა გარკვეულ ვადებში განვახორციელოთ ტყეების მკურნალობა ქიმიური საშუალებებით. ხე-ტყის დამზადებას რაიონში სხვადასხვა ორგანიზაცია აწარმოებს, ისინი ვერ უზრუნველყოფენ ტყის ნორმალურ ექსპლოატაციას. საჭიროა ხე-ტყის დამზადებას ხელი მოჰკიდოს რომელმე ერთმა ორგანიზაციამ. მიზანშეწონილია აგრეთვე ყველა საკოლმეურნეო ტყე გადაეცეს სახელმწიფო სატყეო ფონდს.

ორატორი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ტყეში აიკრძალოს ხის გაჩეხა 15-20 წლით. ეს ხელს შეუწყობს ძვირფასი ჯიშის ხეების აღდგენასა და განვითარებას.

დეპუტატ ი. ფ. სარიშვილის სიტყვა

თავის გამოსვლაში დეპუტატი ლაპარაკობს რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ. იგი ეხება მცენარეული საფარისა და ტყესაცავი ზოლების როლს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში. ტყეები იცავენ ნათესს ქარისაგან, აწესრიგებენ წყლის რეჟიმს ნაადგში, ამცირებენ ეროზიის მოვლენებს. გამორკვეულია, რომ იმ ნაკვეთებზე, სადაც ქარსაცავი ზოლებია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი 30-40 პროცენტით მეტია, ვიდრე ქარისაგან დაუცველ ფართობზე.

ორატორი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა გაფართოვდეს სამუშაოები ახალი ტყის მასივებისა და ქარსაცავი ზოლების შესაქმნელად. იგი ამბობს, რომ საჭიროა დიდი ყურადღება დაეთმოს ტყეების დაცვას.

ეხება რა საკითხს, თუ რა მდგომარეობაშია მწყანე ნარგავები თბილისის გარშემო, დეპუტატი წინადადებას იძლევა მიუჩინონ ახალგაზრდა ნარგავთა ნაკვეთები ცალკეულ ორგანიზაციებს, მსგავსი საწარმოებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, მიანდონ მათ ნარგავთა მოვლა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ ჩაებან ახალგაზრდობა მუშაობაში თბილისისა და მისი მიდამოების მწყანე ფონდის გასაფართოებლად.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გააშენოს 300 ჰექტარი ხე და 10 კილომეტრზე შექმნას მინდორსაცავი ზოლები, გადააქციოს დიღმისა და მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობანი სანიმუშო მეურნეობებად, მოაწყოს საჩვენებელი სანერგე მეურნეობა, რომელიც მაღალხარისხოვან ნერგს მიაწვდის ქალაქის მეურნეობას.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

საკითხი, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეს სესია განიხილავს, მეტად დიდმნიშვნელოვანია საქართველოს ახალგაზრდობისათვის, კომკავშირული ორგანიზაციებისათვის. ეს საკითხი ორგანულად უკავშირდება რესპუბლიკის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

ჩვენმა ახალგაზრდობამ, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა ქალაქებისა და სოფლების გამწვანებისათვის. რესპუბლიკის ქალაშვილები და ჰაბუკები მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოს კომკავშირის ყრილობის მიმართვას იმის შესახებ, რომ ყოველმა ახალგაზრდამ დარგოს ყოველ წელს სულ ცოტა ორი ხე. მიმდინარე წელს უკვე დარგულია ორ მილიონამდე ხე. თბილისის კომკავშირელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით „თბილისის ზღვის“ მიდამოებში 30 ჰექტარ ფართობზე გაშენებულია დენდროლოგიური პარკი. განახორციელდა მუშაობა მახათის მთის ფერდობების გამწვანებისათვის. ქუთაისის ახალგაზრდობამ წელს გაამწვანა ქუთაისი-თერჯოლისა და ქუთაისი-წყალტუბოს გზატკეცილები. ქალაქ ფოთის ახალგაზრდობამ გააშენა ტყეპარკი 50 ჰექტარ ფართობზე.

1958-1959 წლებში ახალგაზრდობის ძალებით რესპუბლიკაში გაშენდება მინდორსაცავი ზოლები, რომელთა საერთო სიგრძე 300 კილომეტრი იქნება. ბევრ რაიონში ახალგაზრდობამ უკვე პრაქტიკულად დაიწყო თავის ვალდებულებათა შესრულება. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში მან შეაგროვა ერთი ტონა ხილის თესლი, გამოიყვანა 15.000 აკაციის ნერგი, საგარეჯოს, ზუგდიდის, ამბროლაურისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ახალგაზრდობის ინიციატივით შექმნილია კოლმეურნეობათა სანერგეები.

მაგრამ ეს მუშაობა სრულებით არ არის საკმარისი. საჭიროა გავაძლიეროთ ახალგაზრდა მუნობელთა მომზადება, მოვაწყოთ კომკავშირული ლაშქრობები გარეული ხეხილის გაკულტურებისათვის.

დეპუტატ ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის სიტყვა

ეს სესია, ამბობს თავის გამოსვლაში დეპუტატი ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, განიხილავს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და რესპუბლიკაში საავტომობილო გზების შემდგომი განვითარების საკითხებს, რომლებიც ფრიადმნიშვნელოვანი საკითხებია ჩვენი რესპუბლიკისათვის. მთელი ეს საკითხები მჭიდროდ დაკავშირებულია იმ გრანდიოზულ პროგრამის შესრულებასთან, რომელიც მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის უდიდესი ადგილი უკავია ტყეებს, რომლებსაც რესპუბლიკის მთელი ფართობის 31,2 პროცენტი აქვთ დათმობილი. არც ერთ რესპუბლიკაში, გარდა რუსეთის ფედერაციისა არ არის მწიფე და გადაბერებული ტყეების ისეთი დიდი მარაგი, როგორც საქართველოში. მიუხედავად ამისა, ჩვენში ხე-ტყის მასალის დიდ ნაკლებობას განვიცდით. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ვაწარმოოთ ტყის რაციონალური ექსპლოატაცია. ამისათვის ფართოდ უნდა გავშალოთ ხე-ტყის საზიდი გზების, ავტოსატრანსპორტო ბაგირის გზების მშენებლობა, დავნერგოთ ახალი ტექნიკა.

ტყის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებენ კაფვის წესების დარღვევა. ამ დარღვევებს უმთავრესად ის იწვევდა, რომ ხე-ტყეს დამზადებას, ამ უკანასკნელ დროამდე აწარმოებდა ბევრი წვრილი დამამზადებელი, რომელნიც სეზონურ მუშახელს იყენებენ. ამეამად სატყეო წესების დარღვევა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ორატორი შეეხო სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხებს. ტყის გაშენებას, მის დაცვას ახლა აწარმოებენ მეურნეობანი, რომლებიც შედიან სატყეო მეურნეობის სამმართველოს სისტემაში, ხოლო კაფვას — ხშირხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობები.

დეპუტატი ჩხუბიანიშვილი სთხოვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დააჩქაროს სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის გაერთიანების საკითხის განხილვა.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარების, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. რ. ხვედელიანის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში დიდი ადგილი ეთმობა იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში გაძლიერდეს საავტომობილო გზების მშენებლობა, გადიდდეს საავტომობილო ტვირთზიდვა. საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ქსელის გაუმჯობესების გეგმა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ სესიის განსახილველად, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობის, მათი შეკეთებისა და მოვლა-შენახვის საქმეში მიღწეულია ერთგვარი წარმატება. სულ უფრო ფართოდ ინერგება პრაქტიკაში ასფალტ-ბეტონისა და შავი ნარევის გამოყენება გზების საფარად და ასაწყობი რკინაბეტონისა — ხიდების მშენებლობაში. გზების მშენებლობისა და შეკეთების ინდუსტრიული მეთოდების უკვე დაწყებულმა დანერგვამ შესამჩნევად აამაღლა მექანიზაციის დონე, შეამცირა საგზაო სამუშაოთა დირებულება. მაგრამ ტექნიკური პროგრესის დონე გზების მშენებლობასა და შეკეთებაში ჯერ კიდევ ჩამორჩება ტექნიკურ პროგრესს, რაც მიღწეულია მშენებლობის სხვა დარგებში.

ჩვენი რესპუბლიკის გზის მშენებლები ყოველ წელს აღიდებენ სამუშაოთა მოცულობას. საგზაო სამუშაოთა გეგმა ყოველ წელს გადაჭარბებით სრულდება. საავტომობილო გზების მშენებლობისა და შეკეთების შემდგომი გაფართოების ინტერესები მოითხოვენ გადიდდეს ფუნადი ასიგნებანი.

საავტომობილო ტვირთზიდვის განუწყვეტლივ მზარდი ტემპი, რაც გამოწვეულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ზრდით, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებით, მოითხოვს გზების მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ეს მიღწეულ უნდა იქნას უახლოეს შვიდწლედში.

საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების გაუმჯობესების სამუშაოები უნდა წარმოებდეს პარალელურად ორი მიმართულებით. ერთი მხრივ საჭიროა განსორციელდეს გზების კაპიტალური შეკეთება ძირითადად შავი საფარის გამოყენებით, მეორე მხრივ უნდა გაუმჯობესდეს არსებული შავი საფარი, რომელიც თავისი მდგომარეობით (სავალი ნაწილის სიგანე, საფარის სისქე და სხვ.) უკვე აღარ შეესაბამება საავტომობილო მოძრაობის გაზრდილ მოთხოვნებს.

შვიდწლიანი გეგმის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასახულია შავი საფარი გაუკეთდეს ყველა იმ გზას, რომელიც რაიონულ ცენტრებს აკავშირებენ მთავარ მაგისტრალებთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის კომისია უერთდება მომხსენებლის აზრს იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი გზების კაპიტალური შეკეთება, აგრეთვე ეთხოვოს საკავშირო ორგანოებს, რომ სსრ კავშირის საავტომობილო გზების განვითარების შვიდწლიან გეგმაში შეტანილ იქნეს სამუშაოები საქართველოს სამხედრო გზის კეთილმოწყობისათვის.

1959-1965 წლებისათვის დასახული გეგმით დიდი სახსრებია ასიგნებული ავტოტრანსპორტისა და საგზაო მექანიზმების შესაძენად, ახალი გზებისა და ხიდების მშენებლობისათვის, აგრეთვე საბინაო მშენებლობისათვის. შვიდწლიანი გეგმით ძირითადი სამუშაოები იწარმოებს გზების კაპიტალური შეკეთებისათვის. შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგად საერთო სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის შავსაფარიანი გზების ხვედრითი წონა გადიდდება 57,2 პროცენტიდან 78,3 პროცენტამდე. შვიდწლედის დამლევისათვის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მეტ წილ გზებს ექნებათ შავი საფარი.

ამავე ხანში აშენდება ახალი ხიდები დიდი ღონისძიებანია დასახული ადგილობრივი გზების მშენებლობისა და კონსტრუქციის საქმეში.

ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლმეურნეობებმ, საბჭოთა მეურნეობებმა, სამრეწველო ტრანსპორტის საწარმოებმა, მშენებლებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმ.

უნდა აღინიშნოს, რომ გზებით სარგებლობასა და მათ დაცვაში ჯერ კიდევ არეულობაა. ბევრ ადგილას ავტომობილი მიდ ძღვით ტრანსპორტის მძღოლებს, სარ მონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკებს. ამასთან დამრღვევთა წინააღმდეგ არ იღებენ შესაბამის ღონისძიებებს. ბ სუხისმგებლობა საერთო სახელმწიფო ებრივი, რესპუბლიკური, აგრეთვე ადგ ლობრივი გზების დაცვისათვის უნდა დ ეკისროთ იმ მიწის მფლობელებს, რომ ლიც ამ გზებს აკრავს. განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს გამწვანებ სამუშაოებს.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სს ზაო მეურნეობის მუშაკები ყოველ ღ ნეს იხმარენ, რათა პირნათლად შეასრ ლონ ამოცანები, რომლებიც მათ ეკ რებათ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნ ობის განვითარების შვიდწლიანი გეგმ

კამათი დეპუტატ გ. ი. ქადაგიძის მოხსენების გამო

დეპუტატ კ. ნ. შავიშვილის სიტყვა

აჭარის რაიონებში ხორციელდება მთელი რიგი სამუშაოები გზების ქსელის გასაფართოებლად. საგზაო სამმართველომ 1 ოქტომბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის გეგმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დიდად დაინტერესებულია ახალი გზების მშენებლობით.

დეპუტატმა გააკრიტიკა გზატკეცილების მთავარი სამმართველოს მუშაკები, რომლებიც იშვიათად ჩადიან დიდმნიშვნელოვან მაგისტრალების მშენებლობებზე, ჯეროვან დახმარებას არ უწევენ გზის მუშაკებს მან თქვა, რომ საჭიროა გზის მუშაკთა მომარაგება თანამედროვე ტექნიკით, მასალებით.

გზატკეცილების სამმართველოს, ამბობს იგი, ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია მახინჯაურ-ბათუმის გზის რეკონსტრუქციის საკითხი. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აგრეთვე ამისათვის, რომ დროზე განხორციელდეს ბათუმ-ქობულეთის მაგისტრალის რეკონსტრუქცია, რომლითაც წარმოებს ტვირთის მასობრივი გადაზიდვა და მგზავრების გადაყვანა.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა გზების სანიმუშოდ მოვლა-შენახვის საქმეში მოსახლეობის მონაწილეობის დიდი მნიშვნელობა. ამაში სერიოზული როლი უნდა შეასრულოს საგზაო მშენებლობის ერთთვიურებმა.

დეპუტატმა შავიშვილმა თქვა, რომ კოლმეურნეობები მოვალენი არიან თავიანთი განუყოფელი ფონდებიდან გამოყონ სახსრები იმ გზების მოვლა-შენახვისათვის, რომლებიც პლანტაციებსა და ბაღებს აკავშირებენ ძირითად მაგისტრალებთან, და უზრუნველყონ გზების მუდმივი მოვლა. ბევრ კოლმეურნეობას შესაძლებლობა აქვს ჰქონდეს მარტივი ტექნიკა საგზაო მშენებლობისათვის. საჭირო მიეცეთ მათ ამ ტექნიკის შეძენის შესაძლებლობა.

დეპუტატ გ. ი. ბერულავას სიტყვა

ამ უკანასკნელ ხანს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა შესრულდა გზების გასაყვანად. დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავისათვის განაღდებულია საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმა. მიწის სამუშაოები შესრულებულია 80 ათას კუბურ მეტრზე მეტი, ტრასზე გადიდულია 103,5 ათასი კუბური მეტრი ქვის მასალა — დაგეგმილზე ერთნახევარზე მეტი. ამას დიდი შრომა მოახმარეს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, აგრეთვე ათასობით ადამიანმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საგზაო სამუშაოთა ერთთვიურში.

მიუხედავად მიღწევებისა, მუშაობის ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება ავტოტრანსპორტით ტვირთისა და მგზავრთა სწრაფად მზარდ გადაზიდვა-გადაყვანას. საკმარისია ითქვას, რომ აფხაზეთში ტვირთზიდვის მოცულობამ გასულ წელს მარტო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო კანტორების ხაზით მიაღწია 885 ათას ტონას, ავტობუსებით გადაყვანილია დაახლოებით 38 ათასი კაცი.

უახლოეს შვიდწლედში საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანის მოცულობა კიდევ უფრო გადიდდება. ამიტომ საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს გზების მდგომარეობა და აშენდეს ახალი გზები.

დეპუტატმა თავის სიტყვაში მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა არადამაკმაყოფილებლად არის მოვლილი გზები. დეპუტატმა აღნიშნა, რომ საჭირო სწრაფად აღიკვეთოს ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან რეგულარულ სამგზავრო მიმოსვლას მთის სოფლებთან, ფუშავეს სამანა მერქნის გამოზიდვას.

ორატორმა დააყენა საკითხი იმის შ სახებ, რომ აფხაზეთის ასს რესპუბ კაში შეიქმნას გზათა სამშენებლო ო განიზაცია.

გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო აღმასკომის თავმჯდომარის ვ. ი. შავგულიძის სიტყვა

პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, ბობს ორატორი, დიდმნიშვნელოვანი ამ ცანებია დასახული გზების, საავტომ ლო ტრანსპორტის შემდგომი განვითა ბის საქმეში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

კამათი დეპუტატ გ. ი. ქადაგიძის მოხსენების გამო

(დასასრული)

ში გზების შემდგომი მშენებლობა, რაზეც დაიხარჯება ძირითადად კოლმეურნეობათა სახსრები.

გზების გამწვანებაში, განაგრძობს ორატორი, არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ნაკლები ყურადღება ეთმობა გზების გაყოლებით მწვანე ნარგავების მოვლას. არ წარმოებს მცენარეთა მასობრივი გაშენება სოფლებში. ახლა წარმოებს მუშაობა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. წითელწყაროელთა მიმართვის პასუხად რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წელს და 1959 წლის გაზაფხულზე დარგონ 120 ათასზე მეტი ხე და ბუჩქი.

ამხ. შავგულიძე აყენებს საკითხს, რომ რაისაბჭოს აღმასკომთან შეიქმნას სარემონტო კანტორა, რომელიც სამეურნეო ანგარიშიანობის საფუძველზე იმუშავებს, და რომ შემუშავდეს გზებთან მდებარე ეზოებისათვის ღობის მარტივი ტიპობრივი პროექტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. მ. ლაბახუას სიტყვა

ორატორი თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავს საავტომობილო ტრანსპორტის უდიდეს მნიშვნელობას. იგი ლაპარაკობს საავტომობილო გზების გაფართოების, მათი სანიმუშოდ შენახვის საკითხებზე. ყოველწლიურად რესპუბლიკაში ხორციელდება ახალი გზების მშენებლობის, არსებული გზების შეკეთებისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა დიდი მოცულობა. მაგრამ თავისი ტექნიკური და საექსპლოატაციო მდგომარეობით ისინი სრულად ვერ აკმაყოფილებენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს. საგზაო მშენებლობის განვითარებაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ უზრუნველყოფილ იქნას საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი აღმავლობა და გადიდდეს მისი ხვედრითი წონა ტვირთბრუნვაში.

გზების მშენებლობასა და შენახვასთან ერთად, რასაც სახელმწიფო ეწევა, საჭიროა, რომ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეთა მასებმა. კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობა კი ჯერჯერობით საკმაო არ არის. კოლმეურნეობანი თავიანთი განუყოფელი ფონდებიდან გზების მშენებლობის საჭიროებისათვის გამოყოფენ მცირე სახსრებს.

მას შემდეგ, რაც მოეწყო საქართველოს გზატკეცილების მთავარი სამმართველო, ტექნიკური დახმარება ადგილებისადმი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგრამ საგზაო ორგანიზაციებს ჯერ კიდევ საკმაოდ არ ამარაგებენ ისეთი მასალებით, როგორიც არის ცემენტი, ხე-ტყე, რკინა და სხვ, რაც აფერხებს სამუშაოთა მსვლელობას, ვერ უზრუნველყოფს მათს დროზე დამთავრებას. ჩვენი რაიონული საგზაო განყოფილებანი ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ არიან აღჭურვილნი ტექნიკით.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო კვალიფიციური მუშაკებით საგზაო ორგანიზაციების უზრუნველყოფას და მათს მომზადებას, გზატკეცილების მთავარი სამმართველოს მხრივ ადგილებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო და მისი საწარმოები ვალდებული არიან იზრუნონ, რომ გზები, რომლებიც სამრეწველო საწარმოებს, შახტებს, მაღაროებს აერთებენ, წესიერად იყონ შენახულნი.

დეპუტატ ა. ი. შადურის სიტყვა

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების, საავტომობილო ტრანსპორტის დიდი ზრდის გამო საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს გზების მოვლა-შენახვის ხარისხი და ახალი გზების მშენებლობა. რესპუბლიკაში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა.

მაგრამ ზოგიერთი გზა თავისი ტექნიკური მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს მზარდ ტვირთზიდვას.

ამხანაგი შადური დეპუტატების ყურადღებას აქცევს იმას, რომ საქართველოს სახელდრო გზა კეთილმოწყობილი არ არის, ამ გზაზე ძალიან ცოტაა სარეკლამო წარწერები, თითქმის არ არის დასასვენებელი მოედნები. არ არის მინერალურ წყაროებთან მისასვლელი, დაბალ დონეზეა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა ყაზბეგის რაიონში.

იგი ლაპარაკობს სოფლის მოსახლეობის შრომითს მონაწილეობაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობაში, მათ მოვლაში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტად ჩავაბათ მოსახლეობა ამ საქმეში. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს გზის მშენებლობის ერთთვიურების მოწყობას.

დეპუტატი აყენებს საკითხს გამოიყოს სახსრები ჯვრის უღელტეხილის უბნის გზის მოვლა-შენახვისათვის.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ს. გ. ტიბილოვის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის განსახილველად დასმულია საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი ზრდისათვის. საჭიროა მივიღოთ ქმედითი ღონისძიებანი ტყის მასივების დასაცავად, არ დაეშვათ დარღვევები მათ ექსპლოატაციაში.

დიდი სამუშაოები უნდა განხორციელდეს არსებული გზების გაუმჯობესებისა და ახალი გზების მშენებლობისათვის.

საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმა ოლქის საგზაო განყოფილებამ შეასრულა ყველა სახეობის მიხედვით. მაგრამ გზების მშენებლობის ტემპი და მათი მდგომარეობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. საკმარისია ითქვას, რომ ყველა გზაზე როდია მუდმივი ბრიგადები, რომლებიც ვალდებული არიან თვალყური ადევნონ გზების მდგომარეობას. ბევრ ახალ გზას არა აქვს წყალსარინი თხრილები და სხვა ნაგებობანი. მიღებულია ღონისძიებები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ორატორმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ სწრაფად აშენდეს სტალინირ-ლენინგორის გზა. იგი ამბობს, რომ საჭიროა გამოიყოს დამატებითი სახსრები „ბაგიანთის“ მინერალური წყაროებისაკენ მიმავალი გზის მშენებლობისათვის, რომელთა ბაზაზე მუშაობს ჩამომსხმელი ქარხანა.

გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ი. ა. ტოლიაშვილის სიტყვა

ჩვენს რაიონში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის. მიუხედავად ამისა, გზების მშენებლობის, შეკეთებისა და მოვლა-შენახვის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი გზა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ავტომობილების მოძრაობა ასეთ გზებზე ძნელდება.

არსებითი ნაკლოვანებანია აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის რაციონალურად გამოყენების საქმეში. ავტომანქანების დიდი ნაწილი გამოვიდა მწყობრიდან იმის გამო, რომ ავტომანქანებს მართავენ შემთხვევითი და გამოუცდელი ადამიანები. ყველგან როდია საგზაო ნიშნები. უნდა ითქვას, რომ ავტოინსპექციის ზოგიერთი მუშაკი გულგრილად ეკიდება საავტომობილო მოძრაობის საქმეს.

რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკა უკანასკნელ წლებში შესამჩნევად განმტკიცდა. ახლა მათ შესაძლებლობა აქვთ ხელი მოჰკიდონ გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეს, საჭიროა დავეხმაროთ მათ მექანიზმებითა და მასალებით. საჭიროა რაიონში შეიქმნას საკოლმეურნეობათშორისო ასფალტ-ბეტონის წარმოება.

აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, რაიონის მშრომელებმა დაისახეს ამოცანა — შვიდწლედში აეშენონ ახალი გზები და ხიდები, შეაკეთონ გზები ასობით კილომეტრ მანძილზე, გაუკეთონ მათ შავი საფარი.

საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივნის ა. გ. გობრონიძის სიტყვა

საკითხი საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარების, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და მოვლის ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც ეს სესია განიხილავს, შემადგენელი ნაწილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული შვიდწლიანი გეგმისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა დაამტკიცებს.

ორატორი ლაპარაკობს იმ მუშაობაზე, რომელიც ჩოხატაურის რაიონის მოსახლეობამ გასწია გზების მშენებლობისათვის. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით გაყვანილია რამდენიმე საავტომობილო გზა. ამჟამად არ არის არც ერთი სოფელი, არც ერთი კოლმეურნეობა საავტომობილო გზით რომ არ იყოს დაკავშირებული რაიონის ცენტრთან. უკანასკნელ 2-3 წელიწადში დაიწყო რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა ტიპები გაუმჯობესება. მიმდინარეობს მათი გაფართოება და შავი საფარით დაფარვა. ამავე დროს, ამბობს ამხ. გობრონიძე, ზოგიერთი გზა უყურადღებოდ არის დატოვებული, ხოლო ზოგიერთი მეტად გადატვირთულია. მაგალითად, შავი ზღვის გზატკეცილი გადის ჩოხატაურის ცენტრალურ ქუჩაზე. იგი რომ აქედან გადავიტანოთ, საჭიროა გაკეთდეს კილომეტრნახევარი სიგრძის ახალი გზა. ეს საკითხი უკვე გადაჭრილი იყო, მაგრამ ამას წინათ შეჩერდა გზატკეცილების მთავარი სამმართველოს განკარგულებით. ორატორის აზრით, რაიონის ზოგიერთი ხიდის არასაკმარისი განი ხელს უშლის ტრანსპორტის ნორმალურ მოძრაობას.

ილაპარაკა რა გზების მოვლის შემდგომ გაუმჯობესებაზე, ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა მიგვეჩინა ადგილობრივი გზები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებებისათვის.

შვიდწლედის მანძილზე რაიონში გაყვანილ იქნება 16 კილომეტრი საერთო სიგრძის ახალი გზები, აშენდება ადგილობრივი მნიშვნელობის ახალი ხიდები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის გ. ვ. რობიტაშვილის სიტყვა

რესპუბლიკის საგზაო მეურნეობის მუშაკებმა ბევრი ღონისძიება მოანდომეს იმას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ სესიას კარგი მაჩვენებლები შეეხვედროდნენ. მათ წარმატებით შეასრულეს გზებისა და ხიდების მშენებლობისა და შეკეთების ათი თვის გეგმა და ახლა იბრძვიან წლიური დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის. გზების კეთილმოწყობისა და შავი საფარით დაფარვის გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებმა, მახარაძისა და გორის რაიონებმა. წელს რესპუბლიკაში გაყვანილია ასობით კილომეტრი ახალი გზები შავი საფარით, აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია ახალი ხიდები.

მიუხედავად ამ წარმატებისა, გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ტემპი ჯერ კიდევ საკმარ არ არის. საგზაო მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — უზრუნველყონ შეუფერხებელი მოძრაობა რესპუბლიკის ყველა გზაზე.

მომავალ შვიდწლედში გაკეთდება 915 კილომეტრი გზა შავი საფარით. შესრულდება შავსაფარიანი გზების კაპიტალური რემონტი და მათი გაფართოება 540 კილომეტრზე. სულ კაპიტალურად შეკეთდება მთელი ჩვენი საგზაო ქსელის 38 პროცენტი. ამ პერიოდში აშენდება ბევრი კაპიტალური ხიდი.

ახლა რესპუბლიკაში წარმოებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიჩენა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურებისათვის, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს მათი შენახვის გაუმჯობესებას.

ნოტების გაცვლა სსრ კავშირის მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის

27 ნოემბერს სსრ კავშირის ელჩმა იაპონიაში ნ. ტ. ფედორენკომ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ფუძიმას გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა იმ ცნობის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები იაპონიის ტერიტორიას იყენებენ აგრესიული მოქმედების განხორციელებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს ნოტა არის პასუხი იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაზე, რომელიც სსრ კავშირის საელჩომ ტოკიოში 2 ოქტომბერს მიიღო. საბჭოთა მთავრობის პირველი ნოტა ამ საკითხზე სსრ კავშირის საელჩომ იაპონიაში 16 სექტემბერს გადასცა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

როგორც სსრ კავშირის საელჩოს 27 ნოემბრის ნოტაში აღნიშნულია, იმ ცნობების თანახმად, რომლებიც თვით იაპონური წყაროებიდან მოდის, გრძელდება იაპონიაში ამერიკის სამხედრო ბაზების გამოყენება ჩინეთის წინააღმდეგ აგრესიის მიზნით. კერძოდ, ამერიკის ჯარები, სამხედრო ტექნიკა და საომარი მასალები კვლავ იგზავნება ტაივანზე ამერიკის გარნიზონების შესავსებად. იაპონია, ხაზგასმით აღნიშნულია ნოტაში, რისკს ეწევა ჩაბმული აღმოჩნდეს ომში ყველა აქედან გამომდინარე მძიმე შედეგით, უწინარეს ყოვლისა თვით იაპონიისათვის.

გაკვირვებას იწვევს, ნათქვამია საბჭოთა ნოტაში, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში გამოთქმული მისწრაფება გაამართლონ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. იაპონიის მხარე არსებითად იმეორებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა მოსაზრებებს ამ საკითხზე.

ეხება რა სრულიად დაუსაბუთებელ საყვედურს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, რასაც იაპონიის ნოტა შეიცავდა, საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში აცხადებს, რომ ჩინეთის ოდითი მიწაწყალის — ტაივანის, პენხულედაოსა და სანაპირო კუნძულების განთავისუფლება ჩანკაიშელთაგან ჩინელი ხალხის საშინაო საქმეა, რომელშიც უფლება არა აქვს არავის ჩაერიოს. მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევამ ჩინეთის საშინაო საქმეებში, რამაც მის წინააღმდეგ პირდაპირი აგრესიის ფორმა მიიღო, გამოიწვია ვითარების საშიში გამწვავება ამ რაიონში, რასაც შეიძლება მოჰყვეს მრისხანე შედეგები მშვიდობის საქმისათვის.

საბჭოთა მთავრობამ კვლავ მიაქცია იაპონიის მთავრობის ყურადღება იმას, თუ რა სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს მშვიდობის საქმისათვის და თვით იაპონიისათვის ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ იაპონიის ტერიტორიის გამოყენებას აგრესიული მოქმედებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ და მოუწოდებს იაპონიის მთავრობას მიიღოს სათანადო ღონისძიებანი, რათა იაპონიის ტერიტორია არ იქნეს გამოყენებული აგრესიის მიზნით. (საკდესი).

თბილისი — მოსკოვი

ძმობა, მეგობრობა — კომუნისტურ შრომაში!



სურათზე: თბილისის ელექტრომავალ სამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქროს ზეინკალ-მემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადა. (მარცხნიდან) გ. ჩაპლინსკი, ა. ბერაძე, ი. ქაშიბაძე, ლ. ნასყიდაშვილი, ა. ტუქ-ოღლი, გ. ჩადუნელი, ბ. გავა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ჩვენს მოსკოველ მეგობრებს — კომუნისტური შრომის პირველი საამქროს კოლექტივს

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადის წერილი მოსკოვის მახარისხებელი დეპოს საგორგოლაბე საამქროს კომუნისტური შრომის კოლექტივისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

შესანიშნავ მღელვარე დღეებს განიცდის ჩვენი საყვარელი სოციალისტური საშობლო. საბჭოთა ადამიანების საუკეთესო ფიქრები და გრძნობები, ჩვენი დიადი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა მთელი გულისყური მიპყრობილია საშობლოს მომავლის, ჩვენი დიადი სანუკვარი მიზნის — კომუნიზმისაკენ, რის გაშლილი მშენებლობის პროგრამა მოცემულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე.

და შემთხვევითი როდია, რომ კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების დღეებში, როცა ახალი ძალით აზვირთდა მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, როცა საბჭოთა ქვეყანა შედის კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიად პერიოდში, წარმოიშვა ახალი შესანიშნავი მოძრაობა — ფაბრიკა-ქარხნებში და ტრანსპორტზე, მშენებლობებსა და შახტებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა კომუნისტური შრომის ბრიგადები, გაჩაღდა კომუნისტური შეჯიბრება.

ჩვენთვის, ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის, განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ ჩვენი ეპოქის ეს შესანიშნავი მოძრაობა დაიბადა თქვენს დეპოში — საწარმოში, რომელთანაც მუშაობის ხასიათით საერთო აქვს ჩვენს ქარხანას.

ეს სიხარული გვიანკეცდება, როცა ვიხსენებთ, თუ რა მდიდარი შრომითი და საბრძოლო ტრადიციები აქვს თქვენს საწარმოს. თქვენთან მთელ მსოფლიოში პირველად მოეწყო კომუნისტური შაბათობა, რასაც ლენინმა „დიადი თაოსნობა“ უწოდა. თქვენს დეპოში შეიქმნა 1935 წელს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი კომპლექსური ბრიგადა. თქვენი დეპოდან გამოვიდა პირველი ორთქლმავლის მემანქანე-ქალი ზინაიდა ტროიცკაია. ჩვენ გულს გვიძგერებს და აღგავფრთოვანებს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა შესანიშნავად აგრძელებს უფროსი თაობის ძვირფას ტრადიციებს, ჩვენი კომკავშირელები კომუნისტებისაგან სწავლობენ როგორ უნდა შრომა და ბრძოლა სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისათვის. ეს კარგად ჩანს თქვენი მაგალითით.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენმა შესანიშნავმა თაოსნობამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში ყველგან, შრომის ყველა უბანზე ჩაღდება კომუნისტური შეჯიბრება, იქმნება კომუნისტური შრომის ბრიგადები და ცვლები, საამქროები.

თბილისის სამრეწველო საწარმოთა შორის თქვენს თაოსნობას ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ჩვენმა ბრიგადამ. თქვენი ინიციატივით აღფრთოვანებულმა და იმ დიადი გეგმით შთაგონებულმა, რაც დასახულია მომავალ შვიდწლედში, ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და ერთსულოვნად გადავწყვიტეთ ვიშრომოთ კომუნისტურად, ვიყოთ სანიმუშონი შრომაში და სწავლაში, ყოფაცხოვრებაში, ღირსეულად ვატაროთ კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი. ამისათვის ჩვენ კონკრეტული ვალდებულებები ავიღეთ.

აი რა გადავწყვიტეთ:

ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს შევასრულებთ 250 პროცენტით, ცვლის ვალდებულებებს გავანაღლებთ 6 საათში, ხოლო დარჩენილ დროს ვიმუშავებთ ელექტრომავლის ნაწილებისა და კვანძების მომზადებაზე;

პარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის დავზოგავთ 2 ტონა ლითონს;

ბრიგადის თვითეული წევრი წელიწადში შეიტანს არანაკლებ ორ რაციონალიზატორულ წინადადებას;

თვითეული ჩვენგანი აითვისებს მეორე პროფესიას;

პარტიის XXI ყრილობის გახსნის დღემდე მოვამზადებთ მესამე თანრიგის სამ ზეინკალს, ამავე თანრიგის ზეინკლად მოვამზადებთ აგრეთვე საშეფო სკოლის — რკინიგზის თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ხუთ მოსწავლეს;

უახლოეს წლებში ბრიგადის ყველა წევრი მიიღებს საშუალო და უმაღლეს ტექნიკურ განათლებას;

სამუშაო ადგილზე დავიცავთ სანიმუშო წესრიგსა და სისუფთავეს, კომუნისტური მორალის წესებს, ვიქნებით მტკიცე ლენინელები შრომაში, სწავლაში, ცხოვრებაში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. დღეს ყოველი ჩვენგანი მშობლიური საწარმოს მაგალითზე ნათლად ხედავს პარტიის მიერ დასახული ლენინური გეგმების ცხოველმყოფელობასა და სიდიადეს. პარტიის XX ყრილობის შემდეგ თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა გადაკეთდა ელექტრომავალსამშენებლო საწარმოდ. შარშან ფოლადის მაგისტრალზე გავიდა პირველი ქართული ელექტრომავალი. 1965 წლისათვის თბილისელმა ელექტრომავალმშენებლებმა 12,5-ჯერ მეტი ელექტრომავალი უნდა მისცენ სამშობლოს, ვიდრე წელს. ავითვისებთ და გამოვუშვებთ ცვლადი ერთფაზიანი დენის ელექტრომავლებს.

ეს ჩვენი ქარხნის კოლექტივის ყოველი წევრისაგან მოითხოვს უფრო შეგნებულ, კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, მეტ ინიციატივას მძლავრი საწარმოო რეზერვების გამოვლინებისა და მაქსიმალური გამოყენებისათვის.

თბილისელ ელექტრომავალმშენებელთა შორის ცოტანი რადი არიან ისინი, ვისთვისაც შრომა არა მარტო საარსებო საშუალებაა, არამედ სულიერი, სასიცოცხლო მოთხოვნილებაც. ამიტომ იყო, რომ ჩვენს ქარხანაში მხურვალედ დაუჭირეს მხარი კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის პატრიოტულ მოძრაობას.

ჩვენ, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქროს ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადის წევრებმა, ვალდებულების აღების პირველი დღიდანვე გავაჩაღეთ ბრძოლა სიტყვის გადაღებისათვის. ჩვენი ბრიგადა დავალებას ყოველდღიურად 400-450 პროცენტით ასრულებს. რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიუროში უკვე წარვადგინეთ რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვან ეკონომიას მისცემს საწარმოს.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. წინ გვიძევს დიდი სამუშაო. აღებული ვალდებულებების განაღდების და მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში, ვფიქრობთ, დიდად დაგვეხმარება მჭიდრო ურთიერთობა ვიქონიოთ ერთმანეთთან, გავაცნოთ ერთმანეთს კომუნისტური შრომის ჩვენი გამოცდილება, მოვუთხროთ ჩვენს მიზნებსა და ამოცანებზე, იმაზე, თუ როგორ ვშრომობთ და ვსწავლობთ, როგორ ვცხოვრობთ, ვიბრძვით და ვოცნებობთ მომავალზე. ეს ხელს შეგვიწყობს წინსვლაში, ჩვენი ამოცანების განხორციელებაში.

ძვირფასო მოსკოველო ძმებო!

მოგმართავთ რა ამ ბარათით, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ მოიწონებთ ჩვენს წინადადებას. კომუნისტურ შრომაში გამარჯვებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მეგობრობა შეჯიბრების მონაწილეთა შორის.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ და თქვენი სახით ჩვენი საყვარელი მოსკოვის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს გამარჯვებებს კომუნისტურ შრომაში, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის.

თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქროს ზეინკალ-მემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადა: გ. ჩადუნელი — ბრიგადირი, გ. ჩაპლინსკი, ი. ქაშიბაძე, ბ. ბერაძე, ლ. ნასყიდაშვილი, რ. ჩაჩუა, ა. ტუქ-ოღლი, გ. ადუაშვილი — ზეინკლები, ბ. გავა — ელექტროშემდუღებელი.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია სოფიაში გაემგზავრა

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კიორგი დამიანოვის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად 29 ნოემბერს მოსკოვიდან სოფიაში გაემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. გ. იგნატოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. კოჟევნიკოვი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ი. კ. პრიხოდოვი.

ცენტრალურ აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ კ. მ. ოზოლინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, ავრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიუბენ ნ. გერასიმოვმა და საელჩოს თანამშრომლებმა. (საკდესი).

საზღვარგარეთ

დიპლომატიური ყინულის გალღობა

თავდასხმის ატომური რაკეტების გაზეგის შექმნა

იერიში კოსმოსზე

ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად

გერლინის საკითხი

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მთავრობის ნოტებს ბერლინის საკითხზე და ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენციას.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ მიწინავე სტატიაში ცდილობს საბჭოთა მთავრობის ნოტა ბერლინის საკითხზე განმარტოს როგორც ცდა „აიძულოს დასავლეთის ჯარები დატოვონ დასავლეთ ბერლინი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ საჭიროა ანალიზი გაუკეთდეს საბჭოთა ნოტის მნიშვნელობას“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობაში წერს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საბჭოთა ნოტის გამო „მოასწავებს საბჭოთა წინადადების უარყოფას“.

„ზოგიერთ თანამდებობის პირს, — აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, — ეჩვი ეპარება, რომ ახალი საბჭოთა ნოტა მხოლოდ პირველი ეტაპია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით ნეიტრალიზებული გერმანიის შექმნის უფრო ფართოდ დასახული საბჭოთა გეგმისა... ვათ მიაჩნიათ, რომ საბჭოთა წინადადება დასავლეთ ბერლინის შესახებ რამდენადმე ნიშნავს დიპლომატიური ყინულის გალღობას, რომელმაც გაყინა აღმოსავლეთის და დასავლეთის პოზიციები ყველა საკითხში გერმანიის შესახებ. ისინი აცხადებენ, რომ ანალოგიური დიპლომატიური მოძრაობა წინ უძღოდა ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებას“.

გაზეთი „დეილი მირორი“ სარედაქციო სტატიაში ცდილობს პოტსდამის შეთანხმების ლიკვიდაციისათვის ბრალი დადოს საბჭოთა კავშირს.

ვაშინგტონი, 28 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ბერლინის საკითხზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ ნოტა, „რა თქმა უნდა, გულდასმით იქნება შესწავლილი“.

„საბჭოთა მთავრობა, — აღნიშნავს, კვრძოდ, სახელმწიფო დეპარტამენტი, — გასაგებად აცხადებს, რომ თუ დასავლეთის სამი მოკავშირე ექვსი თვის განმავლობაში არ მიიღებს საბჭოთა წინადადებას, საბჭოთა კავშირი თავისუფლად მიიჩნევს თავს თავისი ვალდებულებებისაგან მათ წინაშე ბერლინის შესახებ. ცხადია, რომ იბადება მთელი რიგი ფრიად სერიოზული მოსაზრებანი, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ, სანამ შეეხებოდეთ საბჭოთა ნოტას“. ამასთან დაკავშირებით განცხადება შეიცავს მტკიცებას, რომ „შეერთებულ შტატებს ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად აკისრიათ უალრესად სერიოზული პასუხისმგებლობა ბერლინის დასავლეთი სექტორების უშიშროებისათვის“.

გამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის ნოტისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენციის გამო

დასავლეთ გერმანიაში იქმნება ატომური რაკეტების გასაშვები გაზეგის ქსელი

ბერლინი, 28 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ უკვე დასახა თავდასხმის ატომური რაკეტების ბაზების განლაგების ადგილები, რომლებიც ნატოს გეგმების თანახმად, განლაგებულ უნდა იქნეს დასავლეთ გერმანიის მთელ ტერიტორიაზე. ატომური რაკეტების გასაშვები ბაზების ხშირი ქსელის შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის, არამედ აგრეთვე ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის რაკეტული ქვეგანაყოფები.

თუმცა ატომური რაკეტების გასაშვები ბაზების ქსელს ოფიციალურად უწოდებენ „თავდაცვით სარტყელს“ ან „საჰაერო თავდაცვის სისტემას“ და იგი მოიცავს დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის ტერიტორიებს, დასავლეთ გერმანიის წილად ნატოს ატომური ავანგარდის როლის შესაბამისად მოდის ნატოს რაკეტული ბაზების უმეტესი ნაწილი.

ადნის სააგენტო აღნიშნავს, რომ უკვე არსებული რაკეტული ბაზების დამატებით უახლოეს ხანში გათვალისწინებულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეიქმნას ატომური რაკეტების გასაშვები 360 ბაზა.

თავდასხმის ატომური რაკეტების ბაზების შექმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხაზგასმით აღნიშნავს ადნის სააგენტო, უდიდეს საფრთხეს უქმნის დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას.

ყოველი მხრიდან

◆ უნგრეთში ორი კვირის ყოფნის შემდეგ სამშობლოში გაემგზავრა საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე დ. პ. გორიუნოვი. დელეგაცია სტუმრად იყო უნგრეთში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით.

◆ გაზეთ „პაკისტან ტაიმსის“ ცნობით, აღმოსავლეთ პაკისტანის გუბერნატორმა გამოსცა აღმოსავლეთ პაკისტანის „საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის კანონი“. კანონი ადგილობრივ ხელისუფლებს უფლებას აძლევს გარკვეული პერიოდისათვის შეიმოიღონ საგანგებო წესები, აკრძალონ დემონსტრაციების, მიტინგებისა და კრებების მოწყობა.

◆ პარიზში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ვოლგის სახელმწიფო ხალხური გუნდის გასტროლები. საფრანგეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობა მნიშვნელოვან ინტერესს იჩენს საბჭოთა ანსამბლის კონცერტებისადმი, მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა მომღერლებისა და მოცეკვავეების შემსრულებლობითს ოსტატობასა და მხატვრულ გემოვნებას.

ჩეხოსლოვაკი მეგობრების საჩუქარი

ამას წინათ საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის პროკურატურის მუშაკთა დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის გენერალური პროკურორის იან ბარტუშკას ხელმძღვანელობით. დელეგაცია ეცნობოდა საბჭოთა პროკურატურის მუშაობის პრაქტიკას. ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია საქართველოშიც ჩამოვიდა და დიდი ინტერესით გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობას.

ახლახან საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. შ. თოფურიძის ხელზე მოვიდა წერილი, რომელშიც ამხ. ი. ბარტუშკა წერს: „სამშობლოში ჩვენი დაბრუნების შემდეგ გთხოვთ მიიღოთ ჩეხოსლოვაკიის პროკურატურის დელეგაციის ყველა წევრის გულითადი მადლობა მეგობრული მზრუნველობისა და ძმური სიყვარულისათვის, რაც თქვენ გაგვიწიეთ თქვენში ყოფნისას. თქვენი ქალაქის ნახვისა და საქართველოს პროკურატურის მუშაკებთან შეხვედრის ძვირფასი მოგონებანი სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

ნება მიბოძეთ კვლავ გამოვთქვა ღრმა რწმენა, რომ ჩვენი შეხვედრა და ჩვენი პირადი გაცნობა ხელს შეუწყობს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას“.

წერილს თან ახლდა ქალაქ პრაღის ხედების მხატვრული ალბომი, რომელიც ჩეხოსლოვაკმა მეგობრებმა საჩუქრად გამოუგზავნეს ქართველ მეგობრებს.

სტატია ქოგულეთის შესახებ ინდოეთის ჟურნალში

მიმდინარე წლის ივნისში ინდოეთის ჟურნალმა „ჩხა-კი-ბატმა“, რომელიც ქალაქ კალკუტაში გამოდის, დაბეჭდა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივნის ა. გოგიტიძის სტატია „აღორძინებული ქობულეთი“. ავტორი სტატიაში ინდოელ მკითხველს მოუთხრობს, თუ რა წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე.

სტატიაში დასახელებულია მკაფიო მაგალითები და ციფრები, რომლებიც ახასიათებენ რაიონის ეკონომიკასა და კულტურას, მოყვანილია ფაქტები, თუ როგორ ვითარდება ჩაის პლანტაცია, ციტრუსოვანთა ბაღები, სხვა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები, საზოგადოებრივი მეცხოველეობა და ა. შ. სტატიაში ნათქვამია აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებია განხორციელებული ქალაქ ქობულეთის, როგორც კურორტის, კეთილმოწყობისათვის.

აპარის საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა“.

ქარები საქართველოში

26 ნოემბერს საქართველოში თბილი და მზიანი ამინდი იდგა. შავი ზღვის სანაპიროზე ტემპერატურა 17 გრადუს სითბოს აღწევდა, ხოლო თბილისში 27 ნოემბერს 14 გრადუსი სითბო იყო.

არქტიკული ცივი ჰაერის მასები 26 ნოემბრის საღამოსათვის მხოლოდ ლენინგრადს აღწევდა. ამავე დღეს ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ფრანც იოსების კუნძულებთან წარმოიშვა ანტიციკლონი, რომელიც დაიძრა სამხრეთისაკენ საათში 80-90 კილომეტრის სიჩქარით. ანტიციკლონის მოქმედება დასავლეთ საქართველოზე გავრცელდა 27 ნოემბრის დღის მეორე ნახევრიდან. მალე დასავლეთ საქართველოში შემოიჭრა კიდევ უფრო ცივი არქტიკული ჰაერის მასები, რაც სწრაფად გავრცელდა მთელ საქართველოზე. ქარის სიჩქარემ მიაღწია გრიგალისებურს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტემპერატურის მკვეთრი დაცემა. 29 ნოემბერს ღამით მოხდა მინიმალური ტემპერატურების მძაფრი დაწევა. შავი ზღვის სანაპირო რაიონებში აღინიშნა ყინვები — 3-7 გრადუსის ფარგლებში. ღამით ბაკურიანში იყო 21 გრადუსი, გორში 11, თბილისში 4 გრადუსი ყინვა.

ამინდის ასეთი მკვეთრი ცვლილებები ახასიათებს ეგრეთწოდებულ ულტრაპოლარული ტრაექტორიით მოძრავ ანტიციკლონებს, რაც შედარებით იშვიათი მოვლენაა. ამჟამად ეს პროცესი დამთავრებულია და მოსალოდნელია დროებით თანდათანობით დათბობა.

ვ. კოპალატაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი.

„ვაჟას წყარო“

ეს მკაფე წყალი ამოჩუხჩუხებს ფშავის ულამაზეს ხეობაში, ჩარგალის მახლობლად, არაგვის მარჯვენა მხარეს. იგი ძალიან ყვავრესია ვაჟა-ფშაველას. ბუნებისს უბადლო მგოსანს ალბათ ეს წყარო ჰქონდა მხედველობაში, როცა მის ნატვრას გადმოგვცემდა: — ნეტავი სულ დაფსრულებლად მედინა, მერწყო მცენარენი, დედამიწის ლამაზი გული, მომეცალა კაცთა და ცხოველთათვის წყურვილი!

სპეციალისტების დასკვნით, ეს წყალი საირმისა და ნაბეღლავის წყლების ტიპს ეკუთვნის. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ძირითადად გამოსაყენებელია კუჭნაწლავისა და თირკმელების დაავადებათა სამკურნალოდ.

ამჟამად მიმდინარეობს წყაროს კეთილმოწყობა. უკვე დამთავრდა წყლის ჩამოსასხმელი საამქროს მშენებლობა, სადაც დღეში ათასხუთასამდე ლიტრ მინერალურ წყალს ჩამოასხამენ. აქვე ეწყობა წყლის აუზი, მალე შეუდგებიან აბაზანების და არაგვზე საბაგირო ხიდის მშენებლობას. წყაროსთან დაიდგმება ვაჟა-ფშაველას ბიუსტი.

ჩვენი რესპუბლიკის განთქმულ მინერალურ წყლებს მალე შეემატება ძვირფასი „ვაჟას წყაროო“. **(საკ. კორ.).**

ახალგაზრდა მოქანდაკის გამარჯვება

ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტების კონკურსის შედეგები

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიაში მთელი ორი თვე იყო გამოფენილი თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის ძეგლის საკონკურსო პროექტები, რომლებსაც დიდი ინტერესით ეცნობოდა ჩვენი საზოგადოებრიობა.

წარმოდგენილი პროექტების დაწვრილებით განხილვისა და შესწავლის შედეგად საკონკურსო ჟიურიმ პირველი პრემია (50.000 მანეთის რაოდენობით) მიანიჭა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელისა და არქიტექტორების თეიმურაზ კანდელაკისა და დავით მორბედაძის პროექტს (დევიზი—„შავი არწივი“). ამ პროექტის მიხედვით ძეგლი დაიდგმება მეტეხის პლატოზე.

მეორე პრემია (30.000 მანეთის რაოდენობით) მიენიჭა მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილისა და არქიტექტორების გივი მელქაძისა და შოთა ყავლაშვილის პროექტს (დევიზი — „ოქროს გვირგვინი“). ჟიურის აზრით, ეს ქანდაკება ხასურველია დაიდგას ქალაქ მცხეთაში.

სამი მესამე პრემია (თითო 20.000 მანეთის რაოდენობით) მიეკუთვნათ პროექტებს შემდეგი დევიზებით: „წრე და კვადრატი“ (მოქანდაკე გიორგი ოჩიაური, არქიტექტორები თამაზ თევზაძე, ა. ჯიბლაძე, ნ. ჯობაძე); „წითელი სამკუთხედი“ (მოქანდაკე გურამ კორძახია, არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი); „მეტეხი“ (მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე, არქიტექტორები რევი ხატიაშვილი, გივი ჯაფარიძე).

ორი პროექტი: „სამი ბიჭი“ და „ხოხობი და შევარდენი“ (ყვითელი), ჟიურის აზრით, შეიძლება რეკომენდებულ იქნას შესაძენად.

სურათზე: ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტი, რომელსაც მიენიჭა პირველი პრემია. პროექტის ავტორები არიან მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და არქიტექტორები — თ. კანდელაკი და დ. მორბედაძე.



გულის მკურნალები

16 წლის ბიჭუნას ავთანდილ ათაბეგოვს, რომელიც 4 წლის განმავლობაში ავად იყო გულის პერანგის ქრონიკული ანთებით, საშინლად უჭირდა სუნთქვა, შეშუპებული ჰქონდა ფეხები და სახე, მუცლის ღრუში სითხე დაგროვდა, რაც აიხსნებოდა გულის მუშაობის მკვეთრი შეფერხებებით. ბიჭი სიკვდილის პირას იყო მისული.

ფადმყოფის გადასარჩენად საჭირო იყო გულის უმთავრესი ნაწილის განთავისუფლება გულის გადაგვარებული პერანგისაგან. პროფესორმა ნ. ანთელავამ ინტრატორაქიალური ნარკოზით ბავშვს გაუკეთა ოპერაცია, რის დროსაც გახსნილ იქნა ორივე პლევრის ღრუ გულმკერდის ძვლის გადაკვეთით. ავადმყოფი ოპერაციის შემდეგ რამდენიმე დღეში დაუბრუნდა ნორმალურ მდგომარეობას, ორი კვირის შემდეგ გაუქრა სითხე მუცლის ღრუში და ერთ თვეში გაეწერა საავადმყოფოდან გაჯანსაღებული. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ოპერაცია მეტად იშვიათია და იგი პირველად გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში.

ასეთი ოპერაცია კეთდება ქალაქის პირველი საავადმყოფოს ბაზაზე არსებულ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის I ქირურგიის კათედრაზე, რომელსაც სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ნ. ანთელავა ხელმძღვანელობს.

კლინიკაში ფართოდ იყენებენ სერიოზულ ოპერაციულ ჩარევას გულმკერდის ორგანოებზე — ფილტვზე, საყლაპავსა და შუასაყარზე; ამ უკანასკნელ დროს კი ოპერაციულ ჩარევას გულზე შეძენილი და თანდაყოლილი მანკის დროს. ახლა ფილტვის ჩირქოვანი ქრონიკული დაავადებისა და ტუბერკულოზის დროს ხშირად ხდება ფილტვის ან მისი ნაწილის, აგრეთვე ქრონიკული პლევრიტების დროს ჩირქოვანი პარკის მთლიანად ამოკვეთა. ფართოდ იხმარება მკურნალობისა და პროფილაქტიკის სხვადასხვა თანამედროვე სამკურნალო საშუალებანი, მათ შორის არტერიისა და აორტის შიდა სისხლის გადასხმა და სხვ.

გარდა პრაქტიკული მუშაობისა, კათედრაზე წარმოებს მრავალფეროვანი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა როგორც ზოგად ქირურგიაში, ისე გულმკერდის ღრუს პათოლოგიის სხვადასხვა დარგში. პროფესორ ნ. ანთელავასთან ერთად აქ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან პროფესორები დ. შოთაძე, გ. აბაშიძე, დოცენტები მ. გიგოლოვი, ა. ბრეგიანი, ასისტენტები ზ. ზოდელავა, ვ. ფიფია, ნ. ლომათიძე, ბ. კაპანაძე, ლ. შონია და სხვ. კლინიკაში წარმოებს საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკებისათვის ექიმების გადამზადება გულმკერდის ქირურგიაში სამუშაოდ. ამჟამად აქ კვალიფიკაციას იმაღლებენ უზბეკეთის, უკრაინის, ბელორუსიის, თურქმენეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული ექიმები.

მეცნიერი ქირურგები ეძიებენ ახალ გზებსა და ხერხებს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. სულ უფრო ვითარდება და სრულყოფილი ხდება საბჭოთა ქირურგიული მეცნიერება.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: პროფესორი ნ. ანთელავა (შუაში), ახასტენტები ვ. ფიფია (მარცხნივ) და ზ. ზოდელავა სინჯავენ ავადმყოფს მ. ჯანგულაშვილს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპორტის ამბები

საკავშირო პირველობა კალათბურთში

დღეს დაწყება სსრ კავშირის 1959 წლის პირველობის გათამაშება კალათბურთში. გასული ჩემპიონატების მსგავსად, მასში მონაწილეობას მიიღებს კალათბურთელ ქალთა 12 უძლიერესი და ამდენივე ვაჟთა გუნდი.

მატჩები, რომლებიც მომავალი წლის აპრილამდე გაგრძელდება, გაიმართება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. საქართველოდან ჩემპიონის სატიტო წოდებისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ვაჟთა და „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდები.

დიდ ინტერესს იწვევს დღევანდელ შეხვედრა თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდებს შორის. ამას წინათ საქართველოს პირველობაზე კალათბურთელთა ამ კოლექტივებს ფინალურ შეხვედრაში გამართეს ბრძოლა და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება დინამოელებმა მოიპოვეს.

ამ მატჩის შემდეგ თბილისელი კალათბურთელები გაემგზავრებიან ალმა-ათაში, სადაც 12 და 14 დეკემბერს ადგილობრივ „ბურევესტნიკთან“ გამართავენ მორიგ შეხვედრებს.

რესპუბლიკური ჩემპიონატი

28 ნოემბერს „განთიადის“ სასპორტო დარბაზში დაიწყო მაგიდის ჩოგბურთელთა 14 უძლიერესი კოლექტივის ასპარეზობა ჩვენი რესპუბლიკის პირველობაზე.

თვითეული გუნდი დაკომპლექტებულია 7 სპორტსმენით (2 ქალი, 2 ვაჟი, 2 ჭაბუკი, 1 გოგონა). გათამაშება მიმდინარეობს გამოთიშვის სისტემით.

გუნდური ასპარეზობის დამთავრების შემდეგ დაიწყება ბრძოლა პირადი პირველობისათვის.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ 27 ნოემბერს ლონდონში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი შაბიან ჰოკეიში მოსკოვის გუნდსა და ინგლისის უძლიერესი კლუბის „უემბლაიონსის“ გუნდს შორის. გაიმარჯვა მასპინძლებმა 5 : 2 (2 : 0, 3 : 1, 0 : 1).

⊙ გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გ. თამაშების მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ქუთაისის „ლოკომოტივსა“ და აფხაზეთის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 4 : 1.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ადამიანი დღეს მთვარეზე ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ უკვე ხვალ იგი იქ იქნება, აუცილებლად იქნება. საბჭოთა მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებით კაცობრობა ახალ ერაში შევიდა. კოსმოსმა რამდენადმე გადაგვშალა თავისი საიდუმლოებანი. ყველაზე გაბედული ოცნება საპლანეტათშორისო ფრენის შესახებ სინამდვილედ იქცევა.

მთვარე ჩვენთან ყველაზე ახლო მყოფი პლანეტაა. ამიტომ იგი. უეჭველია, პირველი კოსმოსური სხეული იქნება, რომელის ზედაპირზე ფეხს დაადგამს ადამიანი. დედამიწიდან მთვარეზე გადაფრენას დასჭირდება შედარებით მცირე დრო — დაახლოებით 53 საათი. მთვარის შესწავლისას ასტრონომების მიერ მიღებული მეცნიერული მონაცემები დაეხმარება პირველ საპლანეტათშორისო მოგზაურებს მოემზადონ მის ზედაპირზე გადასხდომისათვის და მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროით ყოფნისათვის ისეთ ფიზიკურ პირობებში, რომლებიც ძლიერ განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომლებსაც დედამიწაზე ვართ მიჩვეული.

სიმძიმის ძალა მთვარის ზედაპირზე ექვსჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწის ზედაპირზე.

მთვარის ზედაპირზე უმნიშვნელო სიმძიმის გამო იქიდან წასვლა საპლანეტათშორისო მოგზაურობაში გაცილებით უფრო ადვილია. ვიდრე დედამიწიდან. სისწრაფე, რომელიც საჭიროა მიეცეს საპლანეტათშორისო ხომალდს იმისათვის, რომ, დასძლევს ედამიწის მიზიდულობას, შეეძლოს გაიჭრას კოსმოსში, უდრის 11 კილომეტრს წამში ხოლო მთვარიდან დედამიწაზე ან სხვა პლანეტებზე გამგზავრებისათვის საკმარისი იქნება საპლანეტათშორისო ხომალდს მიეცეს სულ 2,4 კილომეტრი სიწრაფე წამში. ცხადია, რომ მთვარე შეიძლება იყოს მეტად მოხერხებული საშუალედო სადგური კოსმოსურ გადაფრენათა განხორციელებისას.

მთვარეს შეუიარაღებელი თვალითაც რომ ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ მისი ზედაპირი ერთნაირად მბრწყინავი როდია: მასზე ვამჩნევთ მეტად თუ ნაკლებად მუქ ლაქებს და, პირიქით, უფრო ნათელ წერტილებს. მუქი ლაქები უზარმაზარი ღრმულებია, რომლებსაც „ზღვებს“ უწოდებენ, თუმცა იქ ერთი წვეთი სითხეც არ არის

პატარა მუქ ლაქებს ყურეებს, ტბებს, ჭაობებს უწოდებენ, თუმცა იქაც, ისევე როგორც ზღვებში, წყალი არ არის. ნათელი წერტილები მთები და კრატერებია.

ახლა საჭიროა შედგენილ იქნას მთვარის ზედაპირის ზუსტი ატლასი, რომელიც განკუთვნილი იქნება პირველი კოსმონავტებისათვის, ეს ატლასი უნდა შეიცავდეს მთვარის ზედაპირის ყველაზე წვრილ დეტალებს. რომლების გარჩევაც კი თანამედროვე ტელესკოპებით შეიძლება. უჩვენებდეს მთვარის სხვადასხვა მთების სიმაღლეს. ღრმულების სიღრმეს, კრატერებისა და ცირკების ზეინლების დახრილობას. ასეთი ატლასის დახმარებით კარგად იქნება შესაძლებელი მთვარის ზედაპირზე ორიენტირება და ხანგრძლივ მოგზაურობათა განხორციელება, ისე რომ ადამიანმა გზა არ დაკარგოს უამრავ მთებში, რომლებიც ზოგჯერ ძალიან ჰგავს ერთიმეორეს

ამ სტატიის ავტორმა მოახდინა გამოკვლევა მთვარის ზედაპირის მიერ შუქის არეკვლის ხასიათისა სხვადასხვა ფაზის დროს. ამით შესაძლებელი გახდა გამოვერკვია. რომ მთვარის „ზღვების“ უდიდესი ვაკეების ზედაპირიც კი, რომელიც ტელესკოპში ძალიან სწორი და გლუვი ჩანს, სინამდვილეში მეტისმეტად ოროროჩოღრო და ფოროვანია. თავისი აღნაგობით იგი ღრუბელს მოგვაგონებს. შემდეგში პროფესორმა ა. ვ. მარკოვმა დაამტკიცა, რომ ეს თავისებურება მთვარის მთელ ზედაპირს ახასიათებს. თავისი სტრუქტურით იგი მოგვაგონებს ძალიან ფოროვან ვულკანურ ლავებს, ტუფებს, ფერფლსა და წიდას.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ მთვარეზე არ არის რამდენადმე შესამჩნევი ატმოსფერო, ამიტომ ყველა მეტეორი, რომელიც თავისუფლად აღწევს მის ზედაპირს, დიდი ძალით ეჯახება მას. ეს დაჯახებანი იწვევენ აფეთქებებს, რომელთა დროს ორთქლდება მეტეორებიც და მთვარის ზედაპირის ნივთიერების მცირე ნაწილიც. ამის შედეგად იქმნება რაღაც წიდის მსგავსი. ასე დღითიდღე მილიონი წლების განძალზე მეტეორები და კოსმოსური მტვერი თხრიან მთვარის ზედაპირს, ანდენენ მისი ზედაფენებს, გადამუშავებას, ხდიან მას უსწორმასწოროს.

ამერიკელი ასტრონომების მიერ შარშან მიღებულმა მთვარის ზედაპირის ფოტოსურათებმა მეცნიერებს „აფიქრებინა, რომ ზოგიერთი კრატერის ფსკერზე შეიძლება ხდებოდეს გაზების გამოყოფა. ალფონსის კრატერის გულმოდგინე დაკვირვებას, რაც მომდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოახდინეს პულკოვოს ობსერვატორიის თანამშრომელმა ნ. ა. კოზირევმა და ხარკოვის ობსერვატორიის თანამშრომელმა ვ. ი. ეზერსკიმ, მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. 2 ნოემბერს ღამით 6 საათზე მოსკოვის დროით ალფონსის კრატერის სპექტრის ფოტოგადაღების დროს ინმოჩენილ იქნა კაშკაშა გამოსხივება, რომელიც მოწმობს კრატერის ცენტრალური გორაკიდან გამომავალი გაზის ნაკადებს. როგორც ჩანს, ჩვენმა მეცნიერებმა შეძლეს მოეხდინათ მთვარეზე ვულკანის ამოფრქვევის მომენტის ფიქსაცია. ეს ფაქტი შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მთვარეზე, ისევე როგორც დედამიწაზე, ვულკანური პროცესებიც იღებენ მონაწილეობას რელიეფის შექმნაში.

ფიზიკური პირობები მთვარეზე თითქმის უთარგისია სიცოცხლისათვის. აქედან ის დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, რომ მთვარეზე ყოველ შემთხვევაში არ არის უაღრესად განვითარებული სიცოცხლე.

რა პირობებში მოხვდებოდა ადამიანი, რომელიც მთვარის ზედაპირზე გადავიდოდა?

უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ საპლანეტათშორისო ხომალდიდან გამოვიდეს, ადამიანმა უნდა ჩაიცვას სპეციალური კოსტუმი — სკაფანდრი, რომელიც მის ორგანიზმს დაიცავს მთვარეზე თითქმის არარსებული ატმოსფეროს მეტისმეტად სუსტი წნევისაგან. ქანგბადის ხელსაწყოები სულის შეხუთვას გადაარჩენენ ადამიანს. სკაფანდრს უნდა ჰქონდეს თერმომარეგულირებელი მოწყობილობა, რათა კოსმოსში მოგზაურს შეეძლოს დაიცვას სკაფანდრში საჭირო ტემპერატურა მთვარის ზედაპირის იმ უბნების გამოკვლევის დროს, რომლებიც მთვარის მაღლობებით არიან დაჩრდილულნი; მთვარის ზედაპირის მზით განათებული და დაჩრდილული უბნების ტემპერატურათა განსხვავება მეტისმეტად დიდია.

მთვარეზე გამეფებულია მარადიული მდუმარება. მთვარის ატმოსფერო იმდენად დაუხშოებულია, რომ არ შეუძლია, მსგავსად დედამიწის ატმოსფეროსი, გაატაროს ბგერები. მთვარის მკვლევართა მუშაობადების შიგნით დადგმული უნდა იყოს მნიტაფონული რადიოგადამცემები და რადიომიმღებები, რომელთა დახმარებითაც ადამიანებს შეეძლებათ ერთმანეთს მიაწოდონ ცნობები მთვარეზე მოგზაურობის დროს.

მთვარეზე არ არის დაბინდება, არ არის განთიადი. დღე და ღამე იქ დგება ერთნაირად, მათ შუა არავითარი გადასვლა არ არის. მწვერვალების ჩრდილები შავი და მკვეთრად მოხაზულია. მათ არა აქვთ მორუხო ელფერი, რაც ესოდენ ნაცნობია ჩვენთვის დედამიწაზე, ყოველივე ეს ატმოსფეროს თითქმის სრული არარსებობის შედეგია. მთვარის მაღლობნი ჩრდილში რომ შევიდეთ, სავსებით უხილავი გავხდებით ადამიანიათვის, რომელიც ჩვენს კვერდით, მაგრამ ამ ჩრდილს გარეთ დგას.

ცა მოგვეჩვენებოდა სავსებით შავად (იქ არ არის მზის სხივებით გაშუქებული ატმოსფეროს ციისფერი ფონი), ხოლო მზეს დამაბრმავებელი შუქი ექნებოდა. არცერთი ღრუბელი არ შეამცირებდა მის დამაბრმავებელ სიკაშკაშეს, ჩვენ შეუიარაღებელი თვალით დავინახავდით მზეს, გარშემორტყმულს მისი ქრომოსფეროს წითელი რკალით და მის ზემოთ მაღლა აწეულ ცეცხლოვან შეერილებს — პროტუბერანცებს. მზის გარშემო მკაფიოდ იბრწყინვნენდა მზის ვერცხლისებრი გვირგვინიც.

მთელი ცა, ღრისითაც კი, მოგვეჩვენებოდა ვარსკვლავებით მოჭედილად, რომლებიც არ ციმციმებენ. მთვარიდან ჩვენი დედამიწა მოგვეჩვენებოდა კაშკაშა მოცისფრო ბურთად, რომელსაც ცაზე უჭირავს თითქმის 13,7-ჯერ მეტი ფართობი, ვიდრე ჩვენში მთვარეს უჭირავს. შეუიარაღებელი თვალითაც კი შეგვეძლებოდა გვეყურებინა, როგორ მოძრაობს იგი ღერძის გარშემო.

მზე ნელა იმოძრავებდა ცაზე, ვარსკვლავებს შორის, დარჩებოდა ჰორიზონტს ზევით თითქმის ორი კვირის განმავლობაში და დაბინდებოდა მის უკან ასევთვე ხანგრძლივი დროით. ჩვენი დედამიწა კი თითქმის უძრავად იქნებოდა დაკიდებული ერთ წერტილში და მხოლოდ ოდნავ იქანავებდა სხვადასხვა მხარეს ვიბრაციის მეოხებით. სამაგიეროდ მთვარის მეორე მხარეზე დედამიწა სულაც არა ჩანს, იმიტომ რომ მთვარე მობრუნებულია ჩვენსკენ მუდამ ერთი და იმავე ხხარით. კოსმოსში მოგზაურებს მგზავრობა მოუხდებათ მთვარის იმ ნახევარზე, რომელიც დედამიწიდან არა ჩანს. მეცნიერებმა დღემდის თითქმის არაფერი არ იციან მისი აღნაგობის შესახებ.

კაშკაშა მზე, რომელსაც არასოდეს არ ეფარება ღრუბლები, შესაძლებელს გახდის მთვარეზე მუდმივად სარგებლობას მზის ბატარიებით ელექტროდენის მისაღებად, რომელიც საჭირო იქნება მოძრაობისა და მთვარის ზედაპირის განათებისათვის.

საბჭოთა მეცნიერების ღონისძიებათა მეოხებით, ორბლებმაც დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრები გაუშვეს, დაწყებულ იქნა იერიშის მიტანა კოსმოსზე. უნდა ვიფიქროთ, რომ შორს